

სარბიელი

ქართული
ხიზლი

საერთოული გაზეთი

სამუშაოთი 26 დეკემბერი 2000 №249 (1271)

ფასი 50 თეთრი

1990 28 დეკემბერი

სარბიელის

10 წელი


2000 28 დეკემბერი

რამი ისლიან მილიონებს?!

ფიგურს და რობერტო კარლოსის ერთი თამაში ნ მილიონი დოლარი ღირს


პირველად იყო ნიშნო

ფორმულა 1-ის ყველა ჩემპიონი



ნაახალწლოვანი! ... «ფრანს ფიგურის» გამოკითხვაში დიდი ფიგურა გაიძარცვა. ... «ქართის ბურთის» ყველა დარბაზი, 1956-2000 ... პლაკატი ... ფიგურის რეჟისორი — ზინედინ ზინედიანი ... სპორტის სპორტის ფიგურის რეჟისორი — ირაკლი ბაგრატიონის განსჯანი ... ფიგურის რეჟისორი და სხვადასხვა

ფურცელი «სარბიელი» ფასი ქველავარი 2 ლარი



მურამ ფიგურის ფოტო

«ვესტ ჰემის» №13: ზურაბ ხიზანიშვილი

— მე, რა თქმა უნდა, ნახევარდაცვაში მიჩვეულია თამაში — იგივე გაგვიმეორა გუშინ ზურაბ ხიზანიშვილმა, ლონდონში ტელეფონით რომ დაუკავშირდით — მაგრამ თვითონ რედაქციაში მითხრა, შენი იმედი მარჯვენა ფლანგზე გვაქვსო. — ეს როდის მოხდება? — შაბათს, გუნდი „ლესტერთან“ მატჩის წინა მოთვლავზე რომ გავიდა. უთხარი, რომ ამ პოზიციაზე მხოლოდ ბოლო ხანს, საქართველოს ნაკრების ინტერესების გამო ვითამაშე. — კი მაგრამ, „ვესტ ჰემმა“ ახლახანს არ შეიძინა ლივერპულელი მარჯვენა მცველი რიგობერტ სონგი? — რედაქცია გუნდს 3-5-2 სქემით ათამაშებს, სადაც სონგი ერთ-ერთი ცენტრალური მცველია. მე კი, ვფიქრობ, მარჯვენა ნახევარმცველად გამოვადგები. — ოთხშაბათის ამხანაგურ მატჩშიც ხომ მარჯვენაფლანგელად გამოვცადა? — ასე იყო, ოღონდ მაშინ ამპლუის არჩევანი არ შემოუთავაზებია, სათამაშო ნომრის არჩევა კი შემომთავაზეს. — და რომელი აირჩიე? — 13! — რატომ? — მიყვარს ეს რიცხვი და თავისუფალი ნომრები რომ ჩამომთავალებს, არც მიფიქრია. გაუკვირდათ, არ მოელოდნენ, ჩვენთან № 13 ვერა-

ხიზანიშვილი ვესტ ჰემის ბასსადელში და კამარას მეზობლად

ვისაც ცრურწმენის არ სჯერა, არ დაინავსება. წარმოდგინეთ, რომ ქართველ ფეხბურთელს, პრემიერლიგის მატჩისას სათადარიგოთა სკამზე სვამენ, მატჩამდე და შესვენებისას კი გასახდელში მწვრთნელის მითითებებს ასწრებენ, მერე ეს მწვრთნელი სიტყვას მის ამპლუაზე ჩამოუგდებს და... წარმოდგინეთ, რომ ასეთი რამ „დერბის“ გიორგი ქინქლაძეს და „ჩელსის“ რატი ალექსიძეს არ შემთხვევიათ. და თქვენ წარმოდგინეთ, ის, რაც თქვენ წარმოდგინეთ, ზურაბ ხიზანიშვილს გადახდა. საქართველოს ნაკრების და თბილისის „ლოკომოტივის“ 19 წლის მცველი შაბათს „ლესტერ“ — „ვესტ ჰემის“ მატჩისას „ჩაქურების“ სათადარიგოთა სკამზე იჯდა, შარი რედაქციის დარიგებანიც მოისმინა და მერე მის კითხვასაც გაბედულად უპასუხა.

ვის გააგონებო. მე კი „ლოკომოტივი“ ამ ნომრით ვთამაშობდი და კარგად დავცადე. — ესე იგი, შენი ვესტჰემური მომავლის გეიმელება? — ლონდონელს რომ ჩემი თამაში არ მოსწონდით, შობა-ახალწულის აქ არ გამატარებინებდნენ. ჩემს აქ ვიფანსო ორი აფრიკელი და ერთი არგენტინელი გაისტუმრეს შინ. — შენ კი ლესტერშიც ვიარს... — მე და კიდევ სამი ახალბედა „ვესტ ჰემის“ სათადარიგოებთან ვიჯექით, ისე შეპყრობიან, გეგონება, უკვე ვესტჰემელი ვიყო. ახლა „ჩარლტონთან“ ზეგლინდელ თამაშს, 30 დეკემბერს „ჩელსისთან“ და 1 იანვარს „მანჩესტერ იუნაიტდთან“ მატჩსაც დავასწრებთ, რომ გუნდს აქედანვე შევჩვიო. — კი მაგრამ, სათადარიგოებთან როგორ დავსვენებ? — ინგლისში ზოგიერთ სტადიონზე მწვრთნელიც და ფეხბურთელებიც ტრიბუნაზე სხედან. მე მათ უკანა რიგში ვიჯექი, შესვენებაზე კი, ისევე როგორც მატჩამდე გასახდელში, რედაქციის დარიგებებს ვისმენდი. — „ვესტ ჰემმა“ 1:2 წააგო. — ასეა, ჩემს მეზობელსაც წარმატებული დებოუტი არ გამოუვიდა. ტიტი კამარა სასტუმროში გვერდით ნომერში ცხოვრობს, რა თქმა უნდა, სანამ ბინას მისცემენ. ცხადია, გამეცნო

და ვარჯიშებზეც ერთად დავდივართ. — შობას როგორ შეხვდით? — ამ დღითაც ვარჯიშში ვეკონდა. აბა, რა უნდა ექნათ, ზვალ თამაშია. — კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩში რომ აპირებდნენ შენს გამოცდას, თარიღი ხომ არ გარკვეულა. — ჯერ არ ვიცი, ვისთან ან როდის მათამაშებენ, მაგრამ ასე რომ იქნება, ნამდვილად ვიცი. გუშინ დასავლეთში ქრისტეშობა აღნიშნეს, ბევრგან დღესაც უქმობენ. მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია ზვალ განაახლებს მუშაობას და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პასუხს დაელოდება. „ლოკომოტივმა“ უკვე თარგმნა ხიზანიშვილთან კონტრაქტის ასლი და თავი საქართველოს კანონმდებლობით იმართლა, ჩვენში უვადო ზღვრულდება დასაშვებიაო. ერთი სიტყვით, ახლა ფიფას ვერა. მტყუნ-მართალი შევიცარაში უნდა გაირკვეს, თუცა ხიზანიშვილის „ვესტ ჰემში“ გადასვლა იქნებ არც უამისოდ შებრკოლდეს. — ფიფამ რომც გაგვამართლოს, ხიზანიშვილს „ვესტ ჰემში“ გადასვლაში მაინც არ შეუშლით ხელს, განაცხადა გუშინ „ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა აკაკი ჩხაიძემ. იქნებ, ამ ამბით უნდა დაგვეწყო. ვისაც ცრურწმენის არ სჯერა, არ დაინავსება! მასხანაზ ზინედიანი

ვიზის ქიში ფიფის პირველი პასი ანანდია



შაბათი წამოიძახა ანანდია და მსოფლიოს ჩემპიონობა გაინაღდა

სრულიად ინდოეთის კერპი, ვიშვანათან ანანდი კვირას თეირანში, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფე) ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. დასრულდა თვეზე მეტი ხნის წინ 100 მოჭადრაკის მიერ დანებებული მომქანცველი მართონი, რომელშიც ინდოელი თავიდანვე ყველაზე ერთი თავით აღმატებული ჩანდა. ალექსეი შიროვთან მოგებულ ფინალის ანგარიშიც — 3,5:0,5 ყველაფერზე მეტყველებს. 21-ე საუკუნეში ჭადრაკი ორი ტოლძალღვანი პოლუსით შედის: ცალ მხარეს ვიშია, იქით — ვლადიმერ კრამნიკი, დამარცხებული, მაგრამ ჯერ უტეხი კასპაროვის აჩრდილიც მათ თავზე ტრიალებს.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

ვინ გააბრუნა დილა?..



წლებადღეობა „გორდა“ — „დილა“: რუსთაველი ალექსანდრე კიტეიშვილი გორელი მცველების გარემოცვაში

გაბრუნება როგორ არ უნახავს, მაგრამ ხელმოკლეობის ფონზე, ბევრისგან განსხვავებით, მინც ყინვად ეჭირა თავი. ისეთებიც გვახსოვს, მის ბედს რომ შეჰნატროდნენ. ცოტა ჰქონდა, მაგრამ აქამდე სულ ხელგამწილი, უზრუნველ ცხოვრებას ეწეოდა.

გორის „დილას“ დღეს ვერავინ უწოდებს უინძე უქონელს. არა, არც თავზე გადასდის, მაგრამ ფეხბურთელს კუთვნილი არ ეკარგება. ერთი მხრივ — ქულებით გაღარბებულა „დილა“, თან ისე, ლიგადან გაგარდნის საშიშროება ემუქრება.

რამდენიმე ფეხბურთელს ასაკმა უწია, ზოგიერთმა საქართველოს სხვადასხვა გუნდებს შეაფარა თავი. მწვრთნელები კვარტალში ერთხელ იცვლებიან და არის „დილა“ ბოლოდან მესამე.

ოთხი მოგება, სამი ფრე და თხუთმეტი ქულა ვერაფერი შედეგითია საგაზაფხულო ორთაბრძოლების წინ. გუნდი უმაღლეს ლიგაში მანც დარჩება, ირწმუნებიან „დილას“ ხელმძღვანელები. ამას როგორ მოახერხებენ, არ დაუკონკრეტებიათ.

მეთერთმეტე ჩემპიონატი მერამ ხუციშვილის თავკაცობით დაიწყო „დილა“. გუნდის მესაჭის ხელმძღვრე დებიუტი აღრინდელივით ხანმოკლე და მარცხიანი გამოდგა. არადა, მწვრთნელს ჰქონდა თავისი კონკრეტია, მაგრამ ამან ვერ გაამართლა.

მძიმე შემკვიდრეობა დახვდა მთავარ მწვრთნელად აღზევებულ ვაჟა ხაჩირაშვილს. ორიოდ ვეტერანი და გამოუცდილი ახალგაზრდები. „დილა“ თამაში ვერ ააწყო, ქულები ვერ დააგროვა და აქედან გამომდინარე, ვერც ოპტიმალური შემადგენლობა შეირჩა. ყვე-

ლაფერთან ერთად ტრავმები და დისკვალიფიკაციებიც მიეძალა გუნდს. გამოდის, გორელებს კიდევ კარგი შედეგისთვის მიუღწევიათ.

22 ფეხბურთელი იყო მწვრთნელთა განკარგულებაში. ჩვიდმეტივე თამაში კი მხოლოდ ზვიან გაგნიძემ ჩაატარა. ვეტერანისთვის კარგი მაჩვენებელია.

სამი მეკარე ჰყავს „დილას“. ძირითადის რამაზ სოლოლაშვილი, სათადარიგო დავით მდივანი და თამაზ ილიურიც სოლოლაშვილმა ხუთ მატჩში დაიცვა გუნდის „ღირსება“. ტრავმებმა მეტის საშუალება არ მისცა. მდივანს არაფერი ტყენია, მაგრამ ფორმაში ვერ იყო და... ძირითადობა თამაზ ილიურიცემ იკისრა. რიგ მატჩებში კარგადაც წარმოაჩინა შესაძლებლობები, თუმც მის თავგანწირვას „დილასთვის“ დიდი ხეირიც არ მოუტანია.

შვიდი მცველი გამოსცადა ხაჩირაშვილმა, მაგრამ გუნდის უკანა ხაზს სტაბილური არ ეთქმოდა. პრობლემები იყო დაცვის ცენტრში და ფლანგებზეც. გაგნიძე და გრიგალაშვილი ცენტრს ამარაგებდნენ. ზოგჯერ მათ ფეხბურთელიც ეხმარებოდა, თუმც გოლების უმეტესობაც დაცვის შუა ნაწილიდან გასდიოდა „დილას“ მეკარეს. ხელოვნურ თამაშარეს მიმართავდნენ ხშირად გორელები. ცდებოდნენ, მაგრამ არ ეშვებოდნენ და ისევე შეცდომას უშვებდნენ.

ფლანგებზე აკოფიანი და გორაშვილი იყვნენ გამწვანებულები. მათ ხშირად რევაზიშვილი და მისისურაძეც ეხმარებოდნენ, მაგრამ საბოლოოდ ამას შედეგი არ მოუტანია.

„დილა“ ჩემპიონატი სამკაციანი დაცვით დაიწყო და მერე ნელ-ნელა ექვსამდე ავიდა. რაოდენობის მატებასთან

ერთად გაშვებული გოლების რაოდენობაც იზრდებოდა. არადა, გაგნიძეს, რევაზიშვილს, ფეხუაშვილსა და ლომიძეს გამოუცდელსაც ვერავინ დაარქვეს. დაცვის შეცდომები აშკარად შესამჩნევია კი იყო, მაგრამ გუნდის ყველაზე სუსტი რგოლი მაინც ნახევარდაცვა გვევლინა, რა თქმა უნდა, თავდასხმასთან ერთად.

შუახალციხე შვიდი ჰყავდა ხაჩირაშვილს. ამთვან ლიდერობა და მიუღი ტვირთი ციციქიშვილსა და კოტორაშვილს უნდა ეზიდათ, მაგრამ დუეტმა ვერ ივარგა. ციციქიშვილს ასაკი დასტყობია, ბოლო დროს ვარჯიშსაც უკლოდა ფორმიდანაც ამოვარდა, ხოლო კოტორაშვილი ძირითადად ტრავმირებული და უეარჯიშებული გახლდათ. მალე იღლებოდა და პირველი ტაიმის შემდეგ ხშირად შესაცვლელი იყო.

მურთაზ ბურნაძე ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და, ბუნებრივია, „დილას“ დიდად ვერ შეეწყო. მასზე ცოტათი უფროსი საყვარელიც ვერ გაშინაურდა ბოლომდე. დაცვასა და ნახევარდაცვას შორის გახედულ ლომიძესა და რევაზიშვილს სამუშაო ისედაც თავსაყრელად ჰქონდათ. ასე რომ, ფაქტობრივად ვერ იბრძოდა „დილა“.

თავდასხმაში ხორვაშვილი და ხმალაძე იყვნენ გამწვანებულნი. ზურაბს ბრწყინვალე სეზონი ნამდვილად არ ჰქონია, ხმალაძე კი ძალიან სუსტად გამოიყურებოდა. ორივეს ანგარიშზე ერთად ხუთი გოლია, რაც, დავკეთანხმებით, ძალიან დაბალი მაჩვენებელია.

გიორგი რევაზიშვილი, ზურაბ ხორვაშვილი, გიორგი ლომიძე და ლევან გორჩაშვილი ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც თითოეულ მოხვდნენ სარბიელი

სეულ სიმბოლურ ნაკრებში. 31 ყვითელი და ორიც წითელი ბარათი დაძმსხურეს „დილას“ ფეხბურთელებმა. ამიტომაც ვერ ითამაშეს თითქმის ვერც ერთი მატჩი სტაბილური შემადგენლობით.

ოთხი მოგებული მატჩიდან ერთშიც ვერ იტყოდით, ამ შეხვედრას „დილა“ უეჭველად მოიგებდა. თავდაუზოგავ ბრძოლაში, ბოლო წუთებზე მოდიოდა გამარჯვება.

დადებითი ბალანსი მხოლოდ ორ გუნდთან შეიქმნეს გორელებმა. საცოდავ „იბერიას“ ექვსი ქულა აართვეს, ხოლო „მერანს“ ოთხი ქულა გამოვლიჯეს ხელიდან.

ხუთი თამაში წააგო დიდი ანგარიშით „დილა“, თან ისე, ერთშიც არ ჰქონია მცირე შანსი. ერთი შეხვედრა ჩაატარა აღმავლობით, უფრო სწორად, ტაიმ-ნახევარი. მაშინ „დინამოს“ უგებდა 2:0-ს, თუმც ბოლო წუთებში ქარს გაატანა ყველაფერი.

უმაღლეს ლიგაში დასარჩენად სამ გუნდთან მოუწევს „დილას“ ჭიდილი. მათში, რა თქმა უნდა, სამტრედიის „იბერია“ — არ იგულისხმება. კონკურენტები არიან „სიონი“, „გორდა“ და თსუ ბოლნისში ორი ბურთით წააგო „დილა“ და მეტოქეს გაზაფხულის პირზე მოეწილს. „გორდას“ გორში დაუხვდა, რუსთაველი კი დაჰაგვრინა. თსუ-სთან სტუბრად წააგო, შინ გაუსწორდა. გაჭირდება გაზაფხულის გადაგორება. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი გადასახედის ასე ჩანს.

გაჭირვებისა ვთქვით, მაგრამ ერთი რამ არ უნდა გამოგვრჩეს. გორელი ქომაგები ორ სტუმარს მოელოან დიდი ინტერესით, ფოთის „კოლხეთისა“ და „ბათუმის“ დასახვედრად აქედანვე საგანგებოდ ვეშადლებით, ამბობენ. გორის „ჯუნკლებთან“ ურთიერთობა მაშინაც კი ძნელია, როცა „დილა“ ამხანაგურად ვინმეს ევებრება და როცა ისინი საგანგებოდ ეშადლებიან, მაშინ... ვერ გეტყვით, რა აწყენინეს გორელებს ფოთისა და ბათუმში, მაგრამ „კოლხეთისა“ და „ბათუმს“ მძიმე მატჩის გადატანა რომ მოუწევს, ფაქტია.

დღეს „დილა“ შეგებულებაშია. გადავიღის შობა-ახალწელიწადი, გუნდი ახალ საუკუნეში შეიკრება და საგაზაფხულო სამზადისსაც შეუდგება.

კარგი მცველი სჭირდება „დილას“, არც ნახევარმცველზე იტყვიან უარს და მეგობარ ფორვარდსაც სანთლით დაეძებენ. დარჩა კი ასეთი ფეხბურთელები საქართველოში? ვაიპოვით, ამბობენ გორელები და სხვა რა გზაა, უნდა ვერწმუნოთ.

ისიც გავიგეთ, ორიოდ გორელ ფეხბურთელს სხვა კლუბები დასდევნენ, მათი გადაბირება სწავდათო. დაუთმობს „დი-

დილა 2000-01

Table with 2 columns: Rank, Team, Goals, Points. Lists teams like Vitorzhia, Iberia, Gorda, etc.


Table with 4 columns: Team, Goals, Points, Goals per game. Lists teams like Zhenya, Vashan, Mtskheta, etc.


ლა“ თავის შეგირდებს ვინმეს? არა გვგონია. გორელ ქომაგებს კი მტკიცედ სჯერათ, „დილა“ არ გავარდებაო. ამასვე ამტკიცებენ კლუბის ხელმძღვანელებიც. ვნახოთ, მთავარია, „დილა“ თამაშთა ცვლის მტკიცეულ პროცესს გაუძლოს, დანარჩენს კი გაზაფხული გამოაჩენს.

ზურაბ ხორვაშვილი

Table showing statistics for Zurab Khorvashvili from 1990 to 2001, including goals and points.

Table with 4 columns: Team, Goals, Points, Goals per game. Lists teams like Lokomotivi, Torpedo, Dinamo, etc.





ლენოქს ლუისი

ლუისმა წასვლა გადაწყვიტა და ჩემპიონობა დაასახელა

მიმეწონოსანება მსოფლიოს ჩემპიონმა ლენოქს ლუისმა განაცხადა, ერთსაც ვიბძობ — ტაისონთან და სპორტიდან წავალ. ეს ამბავი BBC-ს რადიო 5-ის ეთერით მოედო ქვეყანას. ბრიტანელმა თქვა:

— კიდევ ერთი ბრძოლა მინდა. ჩამოვიშორებ გზიდან მაიკ ტაისონს და მერე იქნებ რინგიდან წასვლაზეც ვიფიქრო.

ლუისის აზრით მისი და ამერიკელის ჩხუბს, 2001 წელს, ალბათ წინ არაფერი დაუდგება.

— ამ ჩხუბს საზოგადოება ითხოვს. ეს მთავარ გმირთა დაპირისპირება იქნება, შედეგი კი, მე თუ მკითხავთ, ერთადერთი შეიძლება იყოს: გაიმარჯვებს ლენოქს ლუისი.

ლუისი, მოგეხსენებათ, 35 წლისაა და ბოლო ბრძოლა 11 ნოემბერს გადახდა. როდესაც ლას ვეგასში WBC-სა და IBF-ის ტიტულებს ახალი ზელანდიის მოქალაქე, ტომით

სამოელი დავიდ ტუა შეეცვალა. იმ დღეს ჩემპიონმა ქულებით, მაგრამ იოლად გაიმარჯვა.

ლუისმა ინტერვიუში ისიც განაცხადა, რომ კრივის განვითარებაში წვლილის შეტანა სურს და ამისთვის ბრიტანელ ოლიმპიურ ჩემპიონს; ზემომეწონოსან ოდელი პარიზის პროფესიული კარიერის წარმატებით დაწყებაში შეუწყობს ხელს.

— მას დიდ პატივს ვცემ და მომავალ ჩემპიონად მიმანინა. მოყვარულთა შორის ბადალი არ ჰყავს, თანაც ახალი მიზანი დაუსახავს, პროესიონალთა შორის ჩემპიონობა მონდობება. ვკონებ, მისი სახელისა და რეიტინგის პატრონს ახალ სარბიელზე განსაკუთრებული სირთულეები არ ელის ერთი სიტყვით, საქმე კარგადაა და მეც სიამოვნებით დავეხმარები.

ტუბა სინარულიძე


ავტობიოგრაფია

პირველად იყო ნინო


FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP 1950 წელს დაბადებულმა ფორმულამ საუკუნის ბოლოსთვის 51 ჩემპიონატი მიითვალა. ამ ხნის მანძილზე უმძლავრესი ბოლიდებით 585 პილოტმა იჭროლა, მათგან 27 გამორჩეულს კი სამეფო რბოლების გვირგვინი დაადგეს. ზოგი თითო ტიტულს დასჯერდა, ზოგსაც სულ მცირე, ამდენივე არ დასცალდა. ერთი-ორს გაუმართლა და ისე ავიდა ტახტზე, ორჯერ და მით უფრო, სამჯერ კი, შემთხვევით ვერავინ გაიმარჯვებს. პირველი ჩემპიონი ჯუზეპე „ნინო“ ფარინა სულ ექვსჯერ დადგა სტარტზე, ხოლო წლევეანდელ ტრიუმფატორ მიხაელ

შუმახერს სამჯერ მეტ, 17 რბოლაში მოუწია წვალბამ. გთავაზობთ ცხრილს ოცდაშვიდივე ჩემპიონის პრაქტიკულად ყველა მონაცემით, სადაც ნათლად ჩანს, თუ კარიერაში ვინ რას მიაღწია. განმარტება, ალბათ, მხოლოდ ერთ — დიდი სლემის გრაფას ესაჭიროება. ეს ძალიან ძნელად მისაღწევი კომპლექსური მაჩვენებელი ეტაპზე აბსოლუტურ წარმატებას ითვალისწინებს: კვალიფიკაციაში პირველობას, უსწრაფეს წრეს, სტარტიდან ფინიშამდე უცვლელად ლიდერობას და ცხადია, რბოლის მოგებას.

ბიკ ახალაძე



სამეფო რბოლების პირველი და ბოლო ჩემპიონები: ჯუზეპე „ნინო“ ფარინა და მიხაელ შუმახერი



ფორმულა 1-ის ყველა ჩემპიონი

მრბოელი	ძვნიანა	საზონი	ტიტული	80-2 ადგ.	80-3 ადგ.	მოგება	პოდიუმი	პოული	უსწრ. წრე	ფიფი სლეში	რულა	რბოლა
ხუან მანუელ ფანსიო	არგენტინა	8	5	2	-	24	36	29	23	3	277,5	51
ალენ პროსტი	საფრანგეთი	13	4	4	-	51	106	33	41	-	798,5	199
მიხაელ შუმახერი	გერმანია	10	3	1	2	44	83	31	41	2	678	145
აირტონ სენა	ბრაზილია	11	3	2	1	41	80	65	19	4	614	161
ჯეკი სტიუარტი	ბრიტანეთი	9	3	2	1	27	43	17	15	4	360	99
ნიკი ლაუდა	ავსტრია	13	3	1	-	25	54	24	24	2	420,5	171
ნელსონ პიკე	ბრაზილია	14	3	1	2	23	60	24	23	3	485,5	204
ჯეკ ბრეზემი	ავსტრალია	16	3	1	-	14	32	13	12	2	261	126
ჯიმ კლარკი	ბრიტანეთი	9	2	1	2	25	32	33	28	8	274	72
მიკა შაკინენი	ფინეთი	10	2	1	-	18	48	26	22	2	383	145
ემერსონ ფიტიპალდი	ბრაზილია	11	2	2	-	14	35	6	6	-	281	144
გრეგემ შილი	ბრიტანეთი	18	2	3	-	14	36	13	10	-	289	176
ალბერტო ასკარი	იტალია	6	2	1	-	13	17	14	13	5	140,5	32
ნაიჯელ მენსელი	ბრიტანეთი	15	1	3	-	31	59	32	30	4	482	187
დეიმონ ჰილი	ბრიტანეთი	8	1	2	1	22	42	20	19	1	360	115
ალან ჯოუნსი	ავსტრალია	10	1	-	2	12	25	6	13	-	206	116
მარიო ანდრეტტი	აშშ	14	1	-	1	12	19	18	10	-	180	128
ფაკ ვილნევი	კანადა	5	1	1	-	11	21	13	9	-	197	82
ჯეიმს ჰანტი	ბრიტანეთი	7	1	-	-	10	23	14	8	-	179	92
ჯოდი შექტერი	სამხრეთ აფრიკა	9	1	1	2	10	33	3	5	-	255	112
დენის ჰალმი	ახალი ზელანდია	10	1	-	2	8	33	1	9	-	248	112
იოსენ რინდტი	ავსტრია	7	1	-	1	6	13	10	3	-	109	60
ჯონ სარტისი	ბრიტანეთი	13	1	1	-	6	24	8	11	-	180	111
ჯუზეპე ფარინა	იტალია	6	1	1	1	5	20	5	5	-	127,5	33
კიკი როსბერგი	ფინეთი	9	1	-	1	5	17	5	3	-	159,5	114
მაიკ შოტორნი	ბრიტანეთი	7	1	-	1	3	18	4	6	1	127,5	45
ფილ შილი	აშშ	8	1	-	-	3	16	6	6	1	98	48



შეხვედრის შედეგები

24 დეკემბერი. ვერის ბაღი
ვიტა 55:102 შეხვედრა
22:26, 16:22, 11:22, 6:32
300მ: მარჯავნილი (14), ბურჯანიძე (7), ბარბაქაძე (8), ქორაძე (12), მდივანი (10); ერგოშვილი (2), ჩიხლაძე, ნ. შანიძე (2)

24 დეკემბერი. ვერის ბაღი
ლინაოი 73:88 სტუ
26:11, 16:31, 17:25, 15:21
ფინალი: თორთლაძე (2), აბულაძე (16), კონჯარია (10), ჩავლიძე (16), ნინიაშვილი (3); ორდენიძე (2), ავალაშვილი (9), ბადრიძე (6), არაქელიანი (2), მარჯავნილი (4), იაშვილი (3)

24 დეკემბერი. ვერის ბაღი
აზოტი 77:50 სსუ
23:7, 20:11, 19:10, 15:22
აზოტი: ჩაჩუა (5), ჯიმშელიძე (13), კოკოლიძე (8), ბაბიაშვილი (4), შენგელია (4); აბიანიძე (4), დანელიანი (15), არნიფაძე (6), მიქიაშვილი (8)

24 დეკემბერი. ვერის ბაღი
მაკაბი 92:76 თსუ
19:21, 29:16, 22:20, 22:19
მაკაბი: ნონელია (37), ი. შანიძე (3), სარიშვილი (15), ტუფაია (21), დარეჯანი (16); ანდელაძე, კრიხელი
თსუ: მაისურაძე (23), ხვეციანი (7), გ. მარკოშვილი (18), ახალციხე (17), მაჭარაძე (4); არსიაშვილი (7), ვეფხვაძე, სანიძე



ვიტა — შევარდნი, ვითელი გიორგი მდივანი (№13) და კახა მაჭავარიანი

ზაბათს, როცა თსუ-ს სსუ-ს მოუვო და ელიტაში თამაში გაიწვია, ცხადი გახდა, რომ ექვსეული ბოლო წვერის ვინაობას შეიძლება „ვიტა“ — „შევარდნი“ შედეგი გამოაქვეყნებდა. გამოუვალ სიტუაციაში მიექცა „ლინაოი“, ექვსეულში შესაღწევად ღვეანი მოსეშვილის გუნდს „ვიტას“ გამარჯვება ხელს აძლევდა, ოღონდ თავის მხრივ უეჭველად უნდა მოეგო სსუ-სთვის. ერთი სიტყვით, საუკუნეთა მიჯნაზე ვერის ბაღში გვარდნი ინტრიგამ დაიბუღა.

იყო. ამ მოთამაშეების წინააღმდეგ გაათამაშებულ სიფრთხილეს იჩენდა „შევარდნი“, რაც საბოლოო წარმატებისთვის აუცილებელი წინაპირობა გახლდათ. რაკი „შევარდნი“ დასახული ამოცანა თავიდანვე გადაჭრა (საწყის ათწუთეულში მარჯავნილი და მდივანის მონაგარი ერთად 4 ქულა იყო), მეტოქეს თავისთვის სასურველი თამაშც იოლად მოახვია თავს. მოგვიანებით „ვიტაში“ ზონური თავდაცვაც მოიშველია, თუმცა სუბიშვილის და განსაკუთრებით ჩხეიძის აქტიურობის წყალობით პირველი მეოთხედის მიწურულს „შევარდნი“ 4-ქულიანი მარაგი შექმნა.

მეორე და მესამე მარჯავნილი კი ათამაშდა, მაგრამ „ვიტასთვის“ ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. „შევარდნი“ კი დაამყრო ფარიც, რამაც ამ გუნდის 10 ქულით დაწინაურება განაპირობა. ტაიმის ბოლოს სწორედ ასეთი სხვაობით დაშორდნენ მეტოქეები ერთმანეთს. ვითელიძე, ცხადია ამის შემდეგაც პქონდათ მატჩში გარდატეხის შეტანის იმედი, თუმცა უნდა ითქვას, რომ მათ თამაშში არ ჩანდა პოტენცია, რის ხარჯზეც წულაძის გუნდი მდგომარეობას გამოისწორებდა. მესამე ათწუთეულშიც შევარდნი უპირატესობა იმედნად შესაძრევი იყო, რომ თავბრუსხვევულ „ვიტას“ შეხვედრის გადარჩენის იოტის ოდენი შანსიც აღარ დარჩა. ვითელიძე, რომელიც უდიდეს სამუშაოს ასრულებდა მოედანზე, თანაგუნდელს მარჯვენის უფლებას არ აძლევდა და სულ მალე სხვაობამ ოც ქულასაც უწია — 65:45.

როლანდ ლაზარიაძე
ცალი ფეხით ექვსეულში მყოფი თსუ ყველაზე დაბრწყინებული სსუ-ს დამარცხების შემთხვევაში ერთი ტურით ადრე გაიწვია ადგილს საუკეთესო შორის. უფრო რთული პრობლემის წინაშე იდგნენ „შევარდნი“ და „ვიტა“, რომელთა მეტოქეები, შესაბამისად, „მაკაბი“ და „აზოტი“ იყვნენ. მოედანზე პირველი სტუდენტები გავიდნენ. თსუ-ს გამარჯვება პატივით სჭირდებოდა, ხოლო სსუ-ს ბოლო, მეცხრე ადგილი, ყველა შემთხვევაში განუდლებული ჰქონდა.

23 დეკემბერი. ვერის ბაღი
სსუ 70:96 თსუ
14:23, 23:36, 11:15, 22:22
სსუ: სორდია (10), ლაცუზაია (4), ბერია (13), გ. ქვილითაია (12), ძიბიგური (4); კანჯია (6), გ. ფლნტი, ბ. ქვილითაია (13), მამაგაშვილი (5), მამოიანი (3)

ვარდნი „ამჯერად კიდევ უფრო სჭირდებოდა მოგება, რადგან თსუ-ს რამდენიმე წუთის წინ მაღალი დასახულ მიზანს და წარუმატებლობის შემთხვევაში მისი ექვსეულში მოხვედრის შანსი მიხერული გახდებოდა. პირველი მეოთხედის პირველი ხუთი წუთი კარგად ჩაატარა „შევარდნი“ გამოცდილმა ფორვარდმა თამაზ ვიგარაძემ. მან ჯერ ორქულიანი ჩაატარა, შემდეგ სორდია კარგად ისროლა და ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ მისი გუნდი 5:0 უგებდა მეტოქეს. „მაკაბი“ მხოლოდ შანიძის ზუსტად შესრულებული სამქულიანი ტყორცის შემდეგ გამოფხიზლდა. მეოთხე წუთის ბოლოს კი ანგარიში წოწვილიან გაათანაბრა — 7:7.

23 დეკემბერი. ვერის ბაღი
მაკაბი 76:79 შეხვედრა
17:19, 18:10, 24:15, 17:35
მაკაბი: ნონელია (19), ი. შანიძე (20), ტუფაია (9), სარიშვილი (24), დარეჯანი (4); ფიცხელაური, ანდელაძე
შეხვედრა: ნ. ნოზაძე (8), გ. ჩხეიძე (19), გიგორი (20), სუბიშვილი (20), ქვილითაია (2); გულბადაშვილი (4), კახაჯანიანი (6), ალავეტი, მაჭავარიანი

ორ წუთი თანაბარი თამაშით აღინიშნა, შემდეგ გაბრწყინა გამოცდილმა დავით სარიშვილმა. მეორე მეოთხედში იგი საუკეთესო იყო მოედანზე. მოხსნებას და დაფარებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დათომ თავდასხმამიც იყიარა. კარგად ისროდა ბურთის როგორც საშუალო, ისე შორი მანძილიდან. „მაკაბის“ მიერ მეორე მეოთხედში გაკეთებული 18 ქულიდან 10 სარიშვილის ანგარიშზე მოდიოდა. მის მიერ სულ ბოლო წამზე ჩაგდებულმა სამქულიანმა „მაკაბის“ ტაიმი 6 ქულით — 35:29 მოაგებინა.

23 დეკემბერი. ვერის ბაღი
აზოტი 86:78 ვიტა
24:18, 23:24, 20:15, 19:21
აზოტი: ა. ფლნტი (10), ჯიმშელიძე (8), ბაბიაშვილი (35), ბურჯანიძე (4), შენგელია (23); აბიანიძე, ლ. ჩაჩუა (2), დანელიანი, მიქიაშვილი (4)
ვიტა: მარჯავნილი (20), ბურჯანიძე (15), ქორაძე (13), ბარბაქაძე (4), მდივანი (17); ერგოშვილი, ჩიხლაძე (5), ნ. შანიძე (4)
მსაჯენი: დავით ბურჯანიშვილი, დავით ანდრიაძე
ქმნისარი: თენგიზ ქიქოძე

უპრინციპულეს შეხვედრაში, დასკვნითი მეოთხედის წინ 15 ქულით — 59:44 — ჩამორჩებოდა მეტოქეს. ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას მეოთხე მეოთხედზე, ოღონდ საპირისპირო გაგებით. ახლა „მაკაბის“ კალათბურთელებს შეეპარათ საღათის ძილა, ხოლო „შევარდნი“ წამყვან კალათბურთელებს მეორე სუთეკვა უხსნათ და საკუთარ თავსაც კი ავობებს გიორგი ჩხეიძემ გამთამაშებლობა იკისრა და კარგად გაართვა თავი, დაცვაში საიმედოდ ამოკეტა წოწვილია და შანიძე, წინა მატჩებისაგან განსხვავებით, გაუმართლებელ რისკზე უარი თქვა და მოლიანად გუნდურ თამაშზე გადაერთო.



ჰაკინენთან იდილია

ოჯახში იმგვარ სინქარეს ვერ განავითარებ, ტრასაზე რომ გჭირდება და არც არავინ ვთხოვს ამას. აქ სიწყნარება საჭირო, მითუმეტეს, რომ პატარა შუგოს ძინავს. მოკლედ, ჰაკინენთან ოჯახის საშობაო იდილია, მიკა და ერია — შინაურული ფოტო.

306 იცის...

ოც წლამდე ჰოკეისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი მოთამაშეთა ხვალისდელი დღისთვის მეტად მნიშვნელოვანი რამ არის. ვინ იცის, ამერიკის ნაკრების ყრმა მეკარე რიკ დი პიეტრო სულ მალე დიდი ჰოკეის გარსკვლაფი შეიქნეს. ჩემპიონატი კი ფინეთის ქალაქ იარვენპიამაში მიმდინარეობს.



REUTERS იარვენპიამა

ტალახუი

აბა, ესეც შენი ველსიბედი და ესეც შენი საშობაო ტალახი. ბრიუსელის ასლო მიმდინარე შეჯიბრის მძიმე წუთები: ჰოლანდიელი რინარდ გრონენდალი და ბელგიელი სვენ ნიისი პრობლემის გადაჭრას ლამობენ. „სუპერბრესტიუად“ წოდებული რბოლა კი ბელგიელ სავი ერვინ ვერვეკენს მოუვია.



REUTERS ბრიუსელიდან

ასალი ამკლუა

როგორც ნესი, კრივის ხელთათმანებით დიდი ბოროტი შავკანიანი ძიები გამეტებით უნაყავდნენ ერთმანეთს ცხვირ-პირს და ყველა სხვა ნაკლებად თუ მეტად მტკივნეულ ადგილს. როგორც გამონაკლისი, იმავე კრივის ხელთათმანებით მავანი ლამაზმანები სხეულის ფრიად საინტერესო ნაწილს ფარავენ ცნობისმოყვარეთა თვალთაგან. ესენი ლენოქს ლუისის მენეჯერის, ფრენკ მელოუნის საკრივო აკადემიას უწევენ რეკლამას.



ჯეის დღესასწაული

ამერიკულ ბურთათბაში მალაყებს და მათ თანამდევ ტრავმებს ვერსად წაუხვალ. მაიაშელი „დელფინი“ ჯეი ფიდლერი იმგვარად დაშავებულა „ნიუ ინგლენდ პეტროტსთან“ თამაშში, რომ მოედნიდან საკაცით გაუყვანიათ. ეგებ ჯეის უკეთესი შობა საღამოც ეკუთვნოდა, მაგრამ პროფესია ისეთი გამოადგა, რომ დღესასწაულს დაღეწილი შეეგება.



REUTERS ფოქსბოროდან

სარბიელი

საორტული გაზეთი

გამოიცვამა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის საფაბრატოს, ოთხფაბრატოს, ხუთფაბრატოს, კარასკავს და შაბრატოს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჟონცხვერია
ლიტერატორი გიორგი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მამუკელია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორიძე
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მირაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბუჩქაძე, სოლომონ გულისა-
შვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, კობა ინასარიძე,
მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე;
ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, და-

ვით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თაკაძე, ავთანდი-
ლ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი
ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში
თუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლონაშვილი,
ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგ-
ობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია
ბესელია, მამუკა გუბელაძე სვეტა ლევაძე, მაგლა დოგრაშვილი,
კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი,
მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ ში-
ლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომწვეები ზურაბ ინაშვილი

გამომცემის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზაბეის გამზირი 42, II
პირაპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieri@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieri.com.ge